# ეშმარიტად მაწყევარები არ იქნებიან მოწმეები და არც შუამდგომლები განკითხვის დღეს

გადმოცემულია აბუ დარდასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ეშმარიტად მაწყევარები არ იქნებიან მოწმეები და არც შუამდგომლები განკითხვის დღეს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ვინც ხშირად იწყევლება და წყევლის მას, ვინც არ იმსახურებს წყევლას, ის იმსახურებს ორგვარ სასჯელს. პირველი: არ იქნება მოწმე განკითხვის დღეს საზოგადოებებზე, რომლებსაც შუამავლებმა წერილები მოუტანეს, მისი მოწმეობა არ მიიღება ამქყეყნად, მისი ცოდვების გამო, და ასევე ვერ გახდება წამებული ანუ ალლაჰის გზაზე მოკლული (შაჰიდი). მეორე: ის ვერ იშუამდგომლებს განკითხვის დღეს, როდესაც მორწმუნეები იშუამდგომლებენ თავიანთი ძმებისთვის, რომლებზეც სავალდებულო გახდა ცეცხლი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5495